



USAID
ამერიკელი ხალხისათვის

დემოკრატიული მმართველობა საქართველოში

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

*საქართველო, დიდი ბრიტანეთი (შოტლანდია), ამერიკის შეერთებული
შტატები, ესტონეთი - შედარებითი კვლევა*

ავტორები: ლევან ავალიშვილი, მარინე კეჭაყმაძე, თამარ იაკობიძე, თეონა ტურაშვილი,
გიორგი კლდიაშვილი

რედაქტორი: ლევან ავალიშვილი

კვლევა განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ
ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის
„დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G-3) ფარგლებში

ამ ნაშრომის შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული
შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით გაწეული
დახმარებით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული
შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების
მთავრობის შეხედულებას.

სარჩევი

შესავალი.....	Error! Bookmark not defined.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	6
შესავალი.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ	7
2. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები.....	10
3. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა	16
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები.....	20
5. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა.....	29
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას	32
7. საჯარო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა და ფინანსური ოპერაციები.....	37
8. საჯარო დაწესებულების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები.....	39
რეკომენდაციები.....	44
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკური კვლევა.....	55
კვლევის მეთოდოლოგია.....	56
ანალიზის აღწერა.....	56
მეთოდები	56
პროექტის სამიზნე საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ანალიზი.....	57
აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	58
დასკვნა	58
რეკომენდაცია:	59
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიშის ფორმა.	60
აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები 2010-2011 წწ.	64
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტრო	69
ფოკუსირებული დისკუსიების შედეგები	74
რეკომენდაციები.....	76

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.....	77
არასრულყოფილი პასუხების თავიდან აცილება.....	83
საჯარო ინფორმაციის გაცემა ვადების დაცვით.....	83
იგნორირებული და უარყოფილი საკითხები.....	84

შესავალი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” (IDFI) პროექტის - “საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო

პრაქტიკის კვლევა“ ფარგლებში განხორციელებულ საქართველოსა და საერთაშორისო (შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი) პრაქტიკის და კანონმდებლობის შედარებით ანალიზს.

პროექტი “საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა“ IDFI -მ განახორციელა (2012 წლის მარტი-მაისი) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)“ მხარდაჭერით.

პროექტი მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული ორგანოების (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს კონტროლის პალატა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა) გამჭვირვალობისა და ეფექტიანი მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის, შემდგომი მისი დანერგვის და ამ სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზით.

პროექტის - „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა“ - მთავარი მიზანი გახლდათ საქართველოს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლითა და კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების იმპლემენტაციით. დასახელებული მიზნის მისაღწევად რამდენიმე ამოცანა იქნა დასახული.

უპირველესად, მნიშვნელოვანი იყო საჯარო დაწესებულებების ელექტრონულ რესურსებზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის შინაარსობრივი და მათი განთავსების ფორმის კვლევა. ამისთვის შეირჩა რამდენიმე ქართული სამიზნე საჯარო დაწესებულება - იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს კონტროლის პალატა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ამავდროულად, პროექტის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლაზე. ამისთვის კი გამოყენებულ იქნა ქართული სამიზნე უწყებების იდენტური უცხოური სამთავრობო

ინსტიტუტები. კერძოდ, აქცენტი გაკეთდა პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნებზე: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი/შოტლანდია და ესტონეთი.

საერთაშორისო პრაქტიკის კვლევისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი თანამედროვე ტენდენცია. კერძოდ, სამთავრობო უწყებები საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად პროაქტიულ რეჟიმში ხელმისაწვდომს ხდიან საზოგადოებისთვის საინტერესო მონაცემებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მათ შესაძლებლობა მისცათ სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, მონაცემებისა და ინფორმაციის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებით მეტად ხელმისაწვდომი გაეხადათ ცნობები საკუთარი საქმიანობის შესახებ. რაც მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისა და საჯარო ინსტიტუტებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. აღნიშნული ტრენდი საერთაშორისო დონეზე უკვე ჩვეულებრივი ტრადიციაა. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ეს უკვე საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ თითქმის ყველა უწყების შემთხვევაში ოფიციალურ ვებ-გვერდზე მნიშვნელოვანია შემდეგი ტიპის ინფორმაციის არსებობა:

- დეტალური ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ;
- საერთო საკონტაქტო ინფორმაცია;
- ორგანოს სტრუქტურისა და საქმიანობის წესის აღწერა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პროექტები და პროგრამები;
- საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშები/აუდიტები;
- სამართლებრივი აქტები;
- კონსულტაციები ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამოთხოვის პროცედურების დეტალური აღწერა;
- უწყების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული დოკუმენტები;
- ორგანოს ფინანსური საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, იგივე ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციული ხარჯების ღირებულება;
- ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები;
- უწყების საქმიანობის შესახებ არსებული ზოგადი ინფორმაცია და ა.შ.

გასათვალისწინებელია თავად უწყებების კომპეტენცია და აქედან გამომდინარე, ვებ-გვერდზე განთავსებული სპეციფიკური ცნობებისა და დოკუმენტების არსებობაც. აღნიშნული ტიპის ინფორმაციის ვებ-გვერდზე წარმოდგენა და რაც ყველაზე

მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი მასალის ხარისხობრივი და სრულყოფილი გამოქვეყნება, საჯარო უწყების ანგარიშვალდებულების, ღიაობისა და გამჭვირვალობის შეფასების მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

კვლევის მეთოდოლოგია სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგებოდა:

- საქართველოს სამიზნე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის კვლევა, მათ ვებ-გვერდებზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;
- საერთაშორისო სამთავრობო ინსტიტუტების ოფიციალური ვებ-რესურსების შესწავლა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო მაგალითების გამოსავლენად;
- ქართული საჯარო სივრცის ელექტრონული გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში კვლევის ფარგლებში შერჩეულია შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდი (<http://home.scotland.gov.uk/home>) და სწორედ მასზე განთავსებული ინფორმაციის დახმარებით შემუშავდება ძირითადი რეკომენდაციები. ამგვარი მეთოდოლოგია გამართლებულია იმით, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ავტონომიურ ერთეულთან და უფრო გამარტივდება ვებ-გვერდზე საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების განსაზღვრა. ასევე, აჭარის მთავრობისთვის მნიშვნელოვანი იქნება შოტლანდიის მიერ უკვე დანერგილი მომსახურებების ათვისება და პრაქტიკაში განხორციელება.

1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

ავტონომიური მთავრობის ვებ-გვერდზე მნიშვნელოვანია განთავსებული იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია: მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია/უფლება-მოვალეობები და მისი თანამდებობაზე დამტკიცების მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები, ინფორმაცია მთავრობის აპარატის უფროსის შესახებ, მთავრობის შესახებ სხვადასხვა ისტორიული ცნობები. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ცნობები ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ. ეს მომხმარებლებსა და რიგით მოქალაქეებს შეუქმნით წარმოდგენას მთავრობის საქმიანობისა და მის მიერ განსახორციელებელი ამოცანების შესახებ.

აჭარის ავტონომიური მთავრობის შემთხვევაში ვხვდებით მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარისა და სხვადასხვა მინისტრების ბიოგრაფიულ ცნობებს, მათი კომპეტენციების დაზუსტების გარეშე.

ამის პარალელურად, შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მოცემულია მთავრობის პასუხისმგებლობები, მიზნები და კომპეტენცია. ამგვარი ტიპის ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში, რადგან საჭიროა ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების მკვეთრი გამიჯვნა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე
დაიბადა 1972 წლის 17 იანვარს ქ. ბათუმში.

1989 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის №6 საშუალო სკოლა.

1994 წელს - ქ. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით.

1994-1999 წლებში სწავლობდა ქ. კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ასპირანტურაში. მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობით სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი; საოჯახო სამართალი; საერთაშორისო კერძო სამართალი.

1998-2000 წწ. მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივ დეპარტამენტში ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსად;

2000-2002 წწ. - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარე;

2002 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის დირექტორად;

2002 წლის მარტიდან საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში საერთაშორისო კერძო სამართლის განყოფილების მეცნიერ-მუშაკად.

2002-2004 წწ. - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების "დამენია, ვარშალომიძე, ნოდედილი და ქავთარაძე" პარტიორია;

2004 წლის იანვრიდან დაინიშნა მპს "საქართველოს რეინიგვის" გენერალურ დირექტორად.

2004 წლის 5 მაისს დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

2004 წლის 20 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ.

საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას, 9
ტელ: 422 72006
ფაქსი: 422 77300
ელ-ფოსტა: Lvarshalomidze@adjara.gov.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-გვერდზე თავმჯდომარის ბიოგრაფიული ცნობები.

The Scottish Government

The devolved government for Scotland is responsible for most of the issues of day-to-day concern to the people of Scotland, including health, education, justice, rural affairs, and transport.

The Scottish Government was known as the Scottish Executive when it was established in 1999 following the first elections to the Scottish Parliament. The current administration was formed after elections in May 2011.

The Government's Purpose

To focus government and public services on creating a more successful country, with opportunities for all of Scotland to flourish, through increasing sustainable economic growth.

- [Gàidhlig \(Gaelic\)](#)



შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია

როგორც უკვე აღინიშნა, მთავრობის თავმჯდომარისა და აპარატის წევრების შესახებ ცნობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მთავრობის წევრის კომპეტენციის დაკონკრეტებას. შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე თანამდებობის პირების ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად სპეციალური სივრცეა გამოყოფილი მათი ვალდებულებების აღსაწერად.

Office of the First Minister



First Minister

Alex Salmond MSP

Responsibilities: Head of the devolved Scottish Government; responsible for development, implementation & presentation of Government policy, constitutional affairs including Referendum Bill and for promoting & representing Scotland.

[Biography](#)

Contact a Minister

Email: [Ministers' Mailbox](mailto:scottish.ministers@scotland.gsi.gov.uk) (scottish.ministers@scotland.gsi.gov.uk)

Your message will be forwarded to the relevant [Cabinet Secretary or Minister](#)

Health, Wellbeing & Cities Strategy



Deputy First Minister and Cabinet Secretary for Health, Wellbeing & Cities Strategy

Nicola Sturgeon MSP

Responsibilities: NHS, health service reform, allied healthcare services, acute & primary services, performance, quality & improvement framework, health promotion, sport, Commonwealth Games, public health, health improvement, pharmaceutical services, food safety & dentistry, community care, older people, mental health, learning disability, carers, Social Care & Social Work Improvement Scotland, substance misuse, social inclusion, equalities, anti-poverty measures, veterans and cities strategy.

[Biography](#)



Minister for Commonwealth Games and Sport

Shona Robison MSP

[Biography](#)



Minister for Public Health

Michael Matheson MSP

[Biography](#)

Finance, Employment and Sustainable Growth



Cabinet Secretary for Finance, Employment and Sustainable Growth

John Swinney MSP

Responsibilities: The economy, Scottish Budget, employment, public service reform, Better Regulation, local government, public service delivery, community planning, Registers of Scotland, Scottish Public Pensions Agency, relocation, e-government, budgetary monitoring, business & industry including Scottish Enterprise, Highlands & Islands Enterprise, trade & inward investment, corporate social responsibility, voluntary sector & the social economy, community business & co-operative development, energy, renewables, tourism, building standards, land use planning.

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მინისტრების შესახებ

2. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

დასახული პოლიტიკისა და დაგეგმილი ღონისძიებების უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტების საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ისევე როგორც, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ გვერდებზე ამგვარი ტიპის დოკუმენტები სამწუხაროდ მწირედ არის წარმოდგენილი: მოცემულია უწყებების წინაშე არსებული გამოწვევები, მიზნები, ამოცანები და მათ შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები. თუმცა, არ არის აღწერილი ერთიანი სტრატეგიის შეფასების ინდიკატორები.

სამინისტრო > სამინისტროს დოკუმენტები

სამინისტროს სტრატეგიული გეგმა 2009-2011 წლებისთვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკური სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებულია არამხოლოდ 2012-2012 წლების სამთავრობო პროგრამა, არამედ განვლილი წლების გეგმებიც. ეს მთავრობის მიერ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, განსაზღვრული პრიორიტეტების ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობას იძლევა.

- ▼ About
- ▶ Programme for Government
 - ▶ 2011-12
 - ▶ 2010-11
 - ▶ 2009-10
 - ▶ 2008-09
 - ▶ 2007-08

Programme for Government

The Programme for Government sets out the Scottish Government's legislative priorities.

Programme for Scotland 2011-2012

Renewing Scotland: The Government's Programme for Scotland 2011-2012

[Read the First Minister's statement to Parliament](#)

Bill summary notes:

Agricultural Holdings	Long Leases
Budget	Council Tax
Freedom of Information (Amendment)	Criminal Cases (Punishment & Review)
Rights of Children Young People	Aquaculture & Fisheries
National Library of Scotland	Alcohol Minimum Pricing
Self Directed Support	Police & Fire Reform
Land Registration	Water
Offensive Behaviour at Football	Legal Aid & Scottish Civil Justice Council

Programme for Government



00:00 / 24:17 You Tube

Also worth seeing

- [National Performance Framework](#)
- [Strategic Objectives](#)
- [Scotland Performs: measuring progress](#)

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული სამთავრობო პროგრამები.

აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულია სხვადასხვა სფეროში მთავრობის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები, ამოცანები მათი შესრულების გზები და ზუსტი ვადები, განხორციელებული ღონისძიებების შეფასების ინდიკატორები.

- ▼ About
- ▶ Strategic Objectives
 - ▶ Greener
 - ▶ Healthier
 - ▶ Safer and Stronger
 - ▶ Smarter
 - ▶ Wealthier and Fairer

Strategic Objectives - Scottish Government

The Government has five objectives that underpin its core purpose - to create a more successful country, with opportunities for all of Scotland to flourish, through increasing sustainable economic growth.



Enabling businesses and people to increase their wealth and more people to share fairly in that wealth.

Find out more about a [Wealthier and Fairer](#) Scotland.



Helping people to sustain and improve their health, especially in disadvantaged communities, ensuring better, local and faster access to health care.

Find out more about a [Healthier](#) Scotland.



Helping communities to flourish, becoming stronger, safer places to live, offering improved opportunities and a better quality of life.

Find out more about a [Safer and Stronger](#) Scotland.



Expanding opportunities to succeed from nurture through to lifelong learning ensuring higher and more widely shared achievements.

Find out more about a [Smarter](#) Scotland.



Improving Scotland's natural and built environment and the sustainable use and enjoyment of it.

Find out more about a [Greener](#) Scotland.

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული სტრატეგიული მიზნები. თითოეული მიზნისთვის გამოყოფილია ცალკე გვერდი

- ▼ About
- ▼ Scotland Performs
 - ▶ Our Purpose
 - ▶ Economic Growth
 - ▶ Productivity
 - ▶ Participation
 - ▶ Population
 - ▶ Solidarity
 - ▶ Cohesion
 - ▶ Sustainability

Search

Search for:

Our Purpose

The Purpose of the Scottish Government is to focus Government and public services on creating a more successful country, with opportunities for all of Scotland to flourish, through increasing sustainable economic growth.

The [Government Economic Strategy](#) (GES) sets out the measures that we are taking to deliver the Purpose, accelerate recovery, and develop a more resilient and adaptable economy.

By building a more dynamic and faster growing economy we will increase prosperity, be better placed to tackle Scotland's health and social challenges, and establish a fairer and more equal society. Sustainability is vital if we are to nurture our environment and ensure that future generations can enjoy a better quality of life.

The Purpose is supported by a set of ambitious targets which focus on the drivers of sustainable economic growth and ensure that growth is shared and sustainable. These targets form part of our outcome based National Performance Framework and set the direction and ambition of our [Government Economic Strategy](#).

Purpose Targets

Economic Growth

- ▲ To raise the GDP growth rate to the UK level by 2011
- ▲ To match the GDP growth rate of the small independent EU countries by 2017

Productivity

- ▲▲ To rank in the top quartile for productivity against our key trading partners in the OECD by 2017

Participation

- ▲▲ To maintain our position on labour market participation as the top performing country in the UK
- ▲ To close the gap with the top five OECD economies by 2017

Population

The Purpose Framework

Supply side growth drivers

Stimulate economic participation

Increase productivity, competitiveness and resource efficiency

Stimulate population growth

Increased Sustainable Economic Growth

Solidarity: reduce inequalities across all individuals

Cohesion: reduce the disparity between the regions of Scotland

Sustainability: enhance the environment and reduce emissions

Characteristics of growth and long-term drivers

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული მთავრობის ამოცანები

Purpose Target/National Indicator	Updated On	Frequency
Purpose Targets		
Participation vs. UK	21 February	Annually
Economic Growth (GDP vs. UK)	24 April	Quarterly
Economic Growth (GDP vs. Small EU)	24 April	Quarterly
National Indicators		
Cultural Engagement	16 March	Annually
Marine Environment	22 March	Annually
Emergency Admissions	27 March	Annually
Research and Development Spending	28 March	Annually
Biodiversity: Terrestrial Breeding Birds	29 March	Annually

Calendar of forthcoming updates to high level Purpose Targets for next 12 months

Month of Update	Frequency
May 2012	
Participation (vs. UK)	Quarterly
Population (vs. EU15)	Quarterly
June 2012	
Solidarity	Annually
July 2012	
Cohesion	Annually
Economic Growth (GDP vs. UK)	Quarterly
Economic Growth (GDP vs. Small EU)	Quarterly

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია სტრატეგიული მიზნების მიღწევის ვადების შესახებ

Supporting business

Supporting the industries that underpin Scotland's rural economy.

- [Helping fishing companies invest in new technology and markets](#)
- [Scotland's first national food and drink policy](#)
- [Improving farming businesses throughout Scotland](#)

Empowering communities

Supporting and developing rural communities.

- [Scottish National Rural Network](#)
- [Giving crofters a greater say in their future](#)
- [Scotland Rural Development Programme](#)

Protecting the environment

Reducing our local and global environmental impact and enhancing it for future generations.

- [Acting on climate change](#)
- [Working towards a zero-waste society](#)
- [Promoting energy efficiency](#)
- [Scotland's first marine bill](#)

How are we doing?



Measuring Scotland's Progress

Find out about national outcomes and indicators on Scotland Performs, the Scottish Government's progress tracker.

[Scotland Performs](#)

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მთავრობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები და მათი შესრულების ინდიკატორები

ვებ-გვერდზე, ასევე, მოცემულია წინა წლების სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშები, სადაც განსაზღვრული მაჩვენებლების საფუძველზე, შეფასებულია მთავრობის მიღწევები.

▼ About

- ▼ Scotland Performs
 - ▶ Changes to the National Performance Framework
 - ▶ Our Purpose
 - ▶ Strategic Objectives
 - ▶ National Outcomes
 - ▶ National Indicators
 - ▶ Useful background

The National Performance Framework (NPF)

Downloadable document:


Title:	The National Performance Framework (NPF)
Description:	PDF file: National Performance Framework (NPF)
File:	NPF pdf [PDF, 100.1 kb: 14 Dec 2011] Open Open in new window
	Viewer Help

Search

Search for:

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე მთავრობის გეგმების შეფასების ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში განსხვავებული სურათია: აჭარის ა/რ მთავრობის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე ამგვარი შინაარსის მოხსენებები წარმოდგენილი არ არის. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქმიანობის ანგარიში პრეზენტაციის სახითაა განთავსებული და მასში მხოლოდ შესრულებული გეგმების პროცენტული მაჩვენებლებია მოცემული, არ მოიძიება ამ მაჩვენებლების ნარატიული განმარტება რაიმე დოკუმენტის სახით.



საჯარო უწყებების საქმიანობის ამსახველ მასალებში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ პუბლიკაციებს. შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ამ ტიპის დოკუმენტებისთვის

ცალკე განყოფილება არის გამოყოფილი. აქ განთავსებული ასობით პუბლიკაციის ძებნა შესაძლებელია მათი თემატიკის, გამოცემის ზუსტი თარიღისა და კონკრეტული საძიებო სიტყვის მეშვეობით.

Search Publications

Search Publications:

Keyword(s): Topic: --

Month: -- Year: -- Sort by:

Showing: 1 to 20 of 12863 Page: Previous [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) ... [644](#) next

Friday 04/05/2012

Consultation on Proposals for an Integrated Framework of Environmental Regulation [Environment]
The proposals outlined in this consultation will deliver a simpler legislative framework which will enable SEPA to focus greatest effort on the environmental problems that matter most. It will provide a more consistent range of enforcement tools so that, proportionate and effective action can be taken against those who would damage the environment.

Consultation on The Housing (Scotland) Act 2001 (Assistance to Registered Social Landlords and Other Persons) (Grants) Amendment Regulations 2012 [Housing]
We are consulting about the changes we propose to make to The Housing (Scotland) Act 2001 (Assistance to Registered Social landlords and Other Persons) (Grants) Regulations 2004. These regulations make provision in relation to certain kinds of grant assistance provided by local authorities to RSLs and other persons out of grants paid to the local authority by Scottish Ministers, (unless excluded by the offer of grant made by the Scottish Ministers).


Wednesday 02/05/2012

Review of Fees Charged by the Court of Session, Accountant of Court, Sheriff & Justice of the Peace Courts, High Court, Office of the Public Guardian: A Consultation Paper. [Law, Order and Public Safety]
A consultation about increases to court fees in Scottish courts

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე პუბლიკაციების განყოფილება

პუბლიკაციების განყოფილებაში სპეციალური ადგილია დათმობილი კანონპროექტების, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების სამართლებრივი აქტებისთვის, სადაც თითოეულ მათგანზე შესაძლებელია დაწვრილებითი ინფორმაციის მოძიება, როგორც მათი შინაარსის, ასევე მიღების პროცესთან დაკავშირებული დეტალური ცნობების შესახებ.

Other Publications



Bills
Proposed legislation
currently before the
Scottish Parliament



Scottish Legislation
The Acts and Statutory
Instruments of the
Scottish Parliament since
devolution



UK Legislation
The Acts and Statutory
Instruments of the UK
Parliament since 1988



UK Bills
Bills currently being dealt
with at Westminster

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განლაგებული საკანონმდებლო პროექტები და კანონები

საგულისხმოა ახალი ამბების განყოფილებაც და მასზე განთავსებული ინფორმაციის განლაგება. შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ახალი ამბები განაწილებულია კონკრეტული საკითხების მიხედვით და აადვილებს სასურველი თემატიკის მიხედვით ინფორმაციის მოძიებას. გარდა ამისა, ცალკეა გამოყოფილი გამოსვლების, ოფიციალური განცხადებებისა და მედია-ბრიფინგების განყოფილება. რაც შეეხება თემატურ ბლოკებს, სხვადასხვა საკითხებთან ერთად გამოყოფილია მთავრობის, სტატისტიკის, კვლევის ქვე-კატეგორიები. ცხადია, რომ ამგვარი დაყოფით მომხმარებლისთვის ადვილია მთავრობის, როგორც ყოველდღიური პრაქტიკული ღონისძიებების გაცნობა, ასევე, ხელისუფლების მიერ გატარებული კვლევითი, სტატისტიკური თუ სხვა საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მიღება. ვებ-გვერდზე არსებობს ახალი ამბების არქივიც, რაც უზრუნველყოფს სასურველ პერიოდში მთავრობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

Today

News

[Speeches and statements](#)

[Media Briefings](#)

News Archive

This week's news

Last week's news

Archive

Or search the news archive for:

News By Topic

- [Agriculture](#)
- [Arts and Culture](#)
- [Building](#)
- [Business and Industry](#)
- [Economy](#)
- [Education and Training](#)
- [Environment](#)
- [First Minister](#)
- [General](#)
- Government**
- [Health and Community Care](#)
- [Housing](#)
- [International](#)
- [Law, Order and Public](#)

Government news online

Topics		
Agriculture	Arts and Culture	Building
Business and Industry	Economy	Education and Training
Environment	First Minister	General
Government	Health and Community Care	Housing
International	Law, Order and Public Safety	Marine and Fisheries
People and Society	Planning	Public Sector
Regeneration	Research	Rural Development
Sport	Statistics	Sustainable Development
Tourism	Transport	

Government

Showing: 1 to 20 of 1129 Page: [Previous](#) [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) ... [57](#) [next](#)

Thursday 26/04/2012

Scotland Bill completes parliamentary stages [Government]
Scottish Government looks forward to debate on nation's future and 2014 referendum.

Scotland Bill completes parliamentary stages [Government]
Scottish Government looks forward to debate on nation's future for 2014 referendum.

Thursday 19/04/2012

Council tax support to be protected [Government]
Scottish Government and COSLA agree programme to help vulnerable.

Thursday 12/04/2012

Pensions reforms imposed without consultation [Government]
Urgent clarity needed on age link.

Monday 02/04/2012

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე ახალი ამბების განყოფილება. წითელ უჯრაში მოთავსებულია ყველაზე საყურადღებო ფუნქციები

3. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ჭრილში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვებ-გვერდზე სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის არსებობას. შოტლანდიის შემთხვევაში მოცემულია მთავრობის წევრთა ქცევის კოდექსი და პროცედურათა სახელმძღვანელო, სადაც აღწერილია მთავრობის კომპეტენცია, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, შოტლანდიის პარლამენტისა და მინისტრების ურთიერთდამოკიდებულება და საკანონმდებლო პროცესის აღწერა,

ჩამოთვლილია სამინისტროს უწყებების კომპეტენციები. ასევე, აღწერილია მინისტრების დანიშვნის პროცედურები, მასში ჩართული აქტორების როლი და ძირითადი პრინციპები. აქვეა მოცემული თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფო ფინანსური რესურსების გამოყენების რეგულაციები და წესები.

Scottish Ministerial Code 2011 edition - A Code of Conduct and Guidance on Procedures for Members of the Scottish Government and Junior Scottish Ministers	
Description	A Code of Conduct and Guidance on Procedures for Members of the Scottish Government and Junior Scottish Ministers
ISBN	978-1-78045-522
Official Print Publication Date	December 2011
Website Publication Date	December 13, 2011

[Next »](#)
[Listen](#)

ISBN 978 1 78045 522 8 (web only publication)
 DPPAS 12308

This document is also available in [pdf format](#) (1.8MB)

Contents

[Foreword by the First Minister](#)

[1. Scottish Ministers](#)
 General Principle
 Ministerial Conduct

[2. Ministers and the Government](#)
 General Principle
 The Scottish Government
 Collective Responsibility
 Cabinet Business
 Cabinet Correspondence
 Ministerial Discussions below the Level of the Cabinet
 Priority of Cabinet Meetings
 Attendance at Meetings of Cabinet Sub-Committees
 Publication of Policy Documents and Consultation Papers
 Confidentiality and Security of Cabinet Documents and Other Government Papers
 Official Papers held by Ministers Relinquishing Office
 Access by Former Ministers to Official Papers
 The Law Officers
 The Law Officers' Role in Legal Proceedings

[3. Ministers and the Scottish Parliament](#)
 General Principle
 Key Principles of the Consultative Steering Group on the Scottish Parliament
 Commitments to Legislate
 Introduction of Bills
 Parliamentary Statements and other Government Announcements
 Supply of Publications
 Financial Resolutions

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი მასალა

აჭარის ა/რ მთავრობის ვებ-გვერდზე მხოლოდ ოთხი ტიპის სამართლებრივი აქტია განთავსებული:

- ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია - ვებ-გვერდზე მხოლოდ სათაურია მოცემული და დოკუმენტი არ არის ატვირთული;
- ბ) საქართველოს კონსტიტუცია - გადადის საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულ 1995 წლის კონსტიტუციის მისამართზე;
- გ) კანონი მთავრობის შესახებ - მოცემულია 2004 წელს ძალაში შესული კანონი;
- დ) მთავრობის რეგლამენტი - დოკუმენტი არ არის განთავსებული.

სამინისტროების შემთხვევაში კი სამართლებრივი დოკუმენტები წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე, განათლების, კულტურისა და სპორტის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს. მსგავსი აქტები არ გვხვდება

ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ პორტალზე.

კანონმდებლობა		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მატერიალური წახალისების, დანამატების და პრემიების განაწილების კომისიის დებულება	წაკითხვა	გადმოწერა
საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ	წაკითხვა	გადმოწერა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება	წაკითხვა	გადმოწერა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულება	წაკითხვა	გადმოწერა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შინაგანაწესი	წაკითხვა	გადმოწერა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა	წაკითხვა	გადმოწერა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია	წაკითხვა	გადმოწერა
საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ	წაკითხვა	გადმოწერა
საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ	წაკითხვა	გადმოწერა
საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ	წაკითხვა	გადმოწერა
საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	წაკითხვა	გადმოწერა
საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ	წაკითხვა	გადმოწერა
საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის	წაკითხვა	გადმოწერა

აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტები

საკანონმდებლო აქტები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ. - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს მთავრობის დადგენილება - 2011-2012 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს მთავრობის დადგენილება - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურისა და პროფესიულ სტუდენტთა დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების საცალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ. - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების საცალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს მთავრობის დადგენილება - მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს კანონი - განათლების ხარისხის განვითარების შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს კანონი - კულტურული მემკვიდრეობის შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს კანონი - ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს კანონი - პროფესიული განათლების შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს კანონი - საბიბლიოთეკო საქმის შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს კანონი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს კანონი - საჯარო სამსახურის შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ - [იხ. მიმავრნილები](#)

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტები

კანონმდებლობა

- [საქართველოს აონსტიტუცია](#)
- [აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი შესახებ](#)
- [აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აონსტიტუცია](#)
- [აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ](#)
- [საჯარო სამსახურის შესახებ](#)
- [საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ](#)
- [საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი](#)
- [საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი](#)
- [საბელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ](#)
- [ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ](#)
- [საბელმწიფო შიდაფინანსების შესახებ](#)
- [მინარმეთა შესახებ](#)
- [სამინარმეთო საქმიანობის კონტროლის შესახებ](#)
- [სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ](#)
- [ვეტერინარიის შესახებ](#)
- [წყლის შესახებ](#)
- [სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ](#)
- [ვაჭისა და ფინის შესახებ](#)
- [პისტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ](#)
- [ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ](#)
- [მაღე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ](#)
- [წინადაგის დაცვის შესახებ](#)
- [პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ](#)
- [ფიჭიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში \(სარგებლობაში\) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ](#)
- [სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ](#)
- [წინადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ](#)
- [სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და საბელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ](#)
- [სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის განარტიკული წესის შესახებ](#)
- [ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ](#)
- [სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკაციის გაცემის წესის და მტკიცების თაობაზე](#)
- [სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის და მტკიცების შესახებ](#)
- [საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწოდების ფორმების დამტკიცების შესახებ](#)
- [საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გარეგნული დაცვისა და საფასურის დამტკიცების შესახებ](#)
- [განარტიკული შიდაფინანსების, განარტიკული ელიტრონული ტენდერისა და ელიტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ](#)

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტები

4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მის გამჭვირვალობას კიდევ უფრო ზრდის. ამ მხრივ, საგულისხმოა შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გზამკვლევი. მასში აღწერილია ხელისუფლებაში არსებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დეტალური

სტრუქტურა, გაწერილია ყველა უწყების, მათ შორის, მთავრობის ხელმძღვანელის როლი ამ პროცესში. გზამკვლევაში აღწერილია მინისტრთა კაბინეტის დღის წესრიგის შემუშავების პროცედურები, ჩამოთვლილია კაბინეტის ქვე-კომიტეტები, აღწერილია მათი საქმიანობის ბუნება, მოცემულია სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

CONTENTS		
Section	Paragraph	Page No
Preface		2
1. Decision-Making in the Scottish Government		
Introduction	1.1	3
Collective Responsibility	1.2	3
Arrangements for Supporting Collective Decision-Making	1.6	4
2. Collective Responsibility and the Role of the First Minister		
Collective Responsibility within the Scottish Government	2.1	5
The Role of the First Minister	2.8	6
3. The Decision-Making Process		
Decision-Making Mechanisms	3.1	7
Minutes to Ministers	3.6	8
Ministerial Meetings	3.11	9
Meetings Convened by the First Minister, the Cabinet Secretary for Finance and Sustainable Growth or the Minister for Parliamentary Business	3.15	9
Cabinet Sub-Committees	3.16	10
The Scottish Cabinet	3.17	10
4. The Scottish Cabinet		
Introduction	4.1	11
Membership of the Cabinet	4.2	11
Meetings of the Cabinet	4.5	11
Cabinet Business	4.7	12
Clearing Proposals with the Cabinet in Correspondence	4.10	12
Preparing the Agenda for Cabinet Meetings	4.11	12
Preparing Papers for the Cabinet	4.15	13
Circulating Papers	4.21	14
Recording the Decisions Reached	4.24	14
Protecting the Confidentiality of Cabinet Papers Etc	4.28	15
5. The Cabinet Secretariat	5.1	16
6. Conclusion	6.1	17

შოტლანდიის მთავრობის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შესახებ გზამკვლევის სტრუქტურა

ვებ-გვერდზე, აგრეთვე, სასურველია სამთავრობო სხდომებისა და მათზე განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემთხვევაში, ამგვარი ტიპის ინფორმაცია გვხვდება მხოლოდ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც არსებობს ცნობები ჩატარებული

სხდომების, მათზე განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დანარჩენი საჯარო უწყების ვებ-გვერდზე მსგავსი ინფორმაცია, სამწუხაროდ, წარმოდგენილი არ არის.

5.07-2011 მთავრობის სხდომა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო პროფილაქტიკური, სოციალური დაცვის და სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის #114 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

